PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს "საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA"-ს მიერ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დიანა გახარია

წევრები:

თამარ დვალიშვილი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

PDF Eraser Free

დაწესებულების სახელწოდება: „საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA"

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

IV. საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA“-ს მიერ წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2021 წლის 2 თებერვალს გამოცემული MES 7 21 0000053614 (ცვლილება 15 თებერვალი, 2021 წელი MES 3 21 0000111705) ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA“-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ლოგისტიკა“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შემოწმება, დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გზით.

ზემოაღნიშნული შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის II თავის, მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ.

ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA”-ს მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია, შეაჯარა განხილული საკითხები და ასევე შეიმუშავა დისტანციურ რეჟიმში წარსამართი შეხვედრის განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA”-ს ადმინისტრაციასთან.

შეხვედრის განრიგის თანახმად, ექსპერტების ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენელებს შორის დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, შედგა 2021 წლის 23 თებერვალს. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების 20-მდე წარმომადგენელს, მათ შორის დირექტორს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, ბიბლიოთეკარს და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებს. ასევე, ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ ზოგიერთ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს კოლეჯის შენობაში „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ფართის და მასში განთავსებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის ჩვენება და ბიბლიოთეკის დათვალიერება.

შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA”-ში განხორციელებული წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში რეკომენდაციები არ გაცემულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

-

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

-

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	ლოგისტიკა
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	02.03.2018 N18 - დამტკიცება 27.03.2020 N032 - ცვლილება (ინტეგრირება)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	90
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	122
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	69
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	152
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

PDF Eraser Free

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრული
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

PDF Eraser Free

1. შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემიამ - SBA" პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „ლოგისტიკა" განხორციელების უფლება მოიპოვა 2018 წელს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობით - 30, ხოლო მიღება განახორციელა 2020 წელს, მას შემდეგ რაც მოახდინა პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება კვოტის სრულ რაოდენობაზე.

დაწესებულება განაცხადის მიხედვით აღწერს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამაზე „ლოგისტიკა" პროფესიული სტუდენტებს ადგილების რაოდენობის 60-ით გაზრდის ა) საჭიროებას და ბ) შესაძლებლობებს, რომელიც ეფუძნება შესაბამისი რესურსების არსებობას:

ა) „პროგრამაზე დიდია მოთხოვნა. მიმდინარე წელს თითქმის სრულად შეივსო არსებული კვოტა, რაც განპირობებულია პროფესიულ განათლებასთან ერთად ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის გაჩენით. ეს აჩენს მოტივაციას აკადემიამ გაზარდოს სტუდენტთა ადგილების ზღვრული ოდენობა ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე".
ბ) -ტურიზმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის გაუქმების შედეგად, გამოთავისუფლებული სასწავლო გარემო და რესურსები, რაც გამოყენებადია ლოგისტიკის პროგრამის მიზნებისათვის.
- პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შესაძლებლობის გაჩენა, რაც იძლევა არსებული რესურსით მეტი პროფესიული სტუდენტის მომსახურეობის შესაძლებლობას.
- დარგობრივი და ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პირების რაოდენობის გაზრდა (9 მასწავლებელთან დამატებით გაფორმებული ხელშეკრულება).
- საწარმოო პრაქტიკის ექვს ობიექტთან დამატებით გაფორმებული ხელშეკრულება.
- ინტეგრირებული მოდულის: „მეცნიერება და ტექნოლოგიები" განსახორციელებლად საჭირო ლაბორატორიისათვის დამატებით შეძენილი აღჭურვილობა.

გასაუბრების მიზნით განხორციელებული ჩართვის ფარგლებში, დაწესებულებამ უზრუნველყო დამატებითი ადგილების მოწყობის მიზნებისთვის ახლადშეძენილი კომპიუტერული ტექნიკის ჩვენება (რაც დასტურდება წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციით) და სასწავლო გარემოს დათვალიერება, რომელიც ამ ეტაპზე მოწყობილია დისტანცირებასთან დაკავშირებული მიმდინარე რეგულაციების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მატერიალური რესურსი არ მოითხოვს განსაკუთრებულ სპეციფიკურ მახასიათებლებს და განხორციელების ძირითადი დატვირთვა მოდის A და B ტიპის სასწავლო გარემოზე. ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად მოწყობილია ერთ ჯგუფში არაუმეტეს 25-30 პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო მომსახურების გაწევისთვის შესაბამისი ფართის აუდიტორია, ხოლო B ტიპის სამუშაო გარემოთი სარგებლობის შემთხვევები რეგულირდება ჯგუფის გაყოფის პრინციპით. სწავლება დაგეგმილია ცვლებში, ასევე დაწესებულებამ აღნიშნა წარმოდგენილ განაცხადში გაჟღერებული შესაძლებლობა შერეული ტიპის სწავლების შესახებ, რაც გულისხმობს გარკვეული სწავლის შედეგების დისტანციურ რეჟიმში მიღწევას პირისპირ სწავლების პარალელურად. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულება იზიარებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ექსპერტების ხედვას შერეული ტიპის სწავლების დაგეგმვისას დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინების თაობაზე, დისტანციურად განხორციელებულ სწავლებასთან დაკავშირებით მიღებული გამოცდილების საფუძველზე.

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ შემუშავებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ 29-ე მუხლი „საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობის განსაზღვრის პრინციპების“ შესახებ თვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ობიექტების სიმძლავრეს შემდეგნაირად: პუნქტი *3. „კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განსახორციელებლად პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/მემორანდუმებით განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობების ჯამს“.*

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ შემადგენელი მოდულების „გაცნობითი პრაქტიკა“, „პრაქტიკული პროექტი“ და „საწარმოო პრაქტიკა“ სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია პარტნიორი კომპანიების ბაზაზე. პროგრამაზე პროფესიული სტუდენტებს ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნებისთვის, ქვემოთ ჩამოთვლილ კომპანიებთან დაწესებულების მიერ 6 წლის ვადით გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს ერთდროულად არაუმეტეს 20 (ჩამონათვალში ორი უკანსაკნელი კომპანიის შემთხვევაში 30) პროფესიული სტუდენტისთვის პროგრამის ცალკეული კომპონენტების რეალურ სამუშაო გარემოში განხორცილებას, რაც ზემოაღნიშნული რეგულაციის დაცვით, უზრუნველყოფს მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობის მომსახურებას:

1. შპს „თეზა ტრანსი“
2. შპს „ილო ტრანსპორტი“
3. შპს „სან ლოჯისტიკ“
4. შპს „სან გრუპი“
5. შპს „სჩნელლტრანსპორტ 76 გერმანია“
6. შპს „ფორევა ტრანსპორტ“

გასაუბრებისას დაწესებულების დირექტორმა ისაუბრა ლოგისტიკის, როგორც პრიორიტეტული მიმართულების გაძლიერებაზე და სფეროს უმსხვილეს წარმომადგენლებთან თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

2. დაწესებულების მიერ შემუშავებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ 29-ე მუხლი „საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობის განსაზღვრის პრინციპების“ შესახებ არეგულირებს პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობას შემდეგნაირად: პუნქტი 2. *„კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების ათმაგ ოდენობას“.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე „ლოგისტიკა“ პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნებისთვის, დაწესებულებამ დასაქმებული მასწავლებლების რიცხვი გაზარდა 9-ით, მათ შორის როგორც ზოგადი ასევე პროფესიული მოდულების განმახორციელებელი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამას „ლოგისტიკა“ ჰყავს საკმარისი რაოდენობის (სულ 40) ზოგადი, პროფესიული და ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პერსონალი, რაც ზემოაღნიშნული რეგულაციის დაცვით, უზრუნველყოფს მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობის მომსახურებას.

3. დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადის 1.3 დანართის - ადამიანური რესურსების შესახებ მიხედვით, პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ განხორციელებისთვის შერჩეულ პირებს გააჩნიათ დარგის შესაბამისი განათლება/სამუშაო პრაქტიკა და ზოგიერთ შემთხვევებში სწავლების/პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება, რაც დასტურდება დამატებით მოწოდებულ დოკუმენტებით - პირადი საქმეებით.

   გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შერჩეულ პირებს საქმიანობის განხორციელებამდე უტარდებათ შიდა ტრენინგები, კომპეტენციებს დაფუძნებული სწავლებისა შეფასების ნაწილში. სატრენინგო პროგრამა მოიცავს ასევე პრაქტიკული დავლების შესრულებას. ინტეგრირებული მოდულების განხორცილების მიზნებისთვის განსაზღვრული პირები შერჩეული იქნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროსთან კონსულტირებით. აღსანიშნავია, რომ განმახორციელებლების ნაწილი ჩართულია პროფესიული სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის/მოდულების შემუშავებისა და გადახედვის პროცესში და რიგ შემთხვევებში წარმოადგენს სასწავლო რესურსისთვის შექმნილი სახელმძღვანელოების ავტორებს. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, დაწესებულებაში ხშირად ტარდება შიდა ტრენინგები, საჭიროებისამებრ იმართება ინდივიდუალური კონსულტაციები. აღნიშნული ინფორმაცია ასევე დადასტურდა განმახორციელებლებთან გასაუბრებისას.

   ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმახორციელებლებად შერჩეული პირები იცნობენ/ფლობენ პროფესიული სტუდენტების როგორც სწავლის შედეგების გამომუშავების, ასევე მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების პრინციპებს/უნარებს, სისტემაში გავრცელებული მიდგომების გათვალისწინებით.

4. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ ხელმძღვანელად განსაზღვრულია სფეროში შესაბამისი სამუშაო გამოცდილების მქონე პირი, რომელიც წარმოადგენს დარგის მოქმედ ექსპერტს (დასტურდება პირადი საქმით). გასაუბრებისას ხელმძღვანელმა ისაუბრა მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესახებ, რაც მდგომარეობს პროგრამის შემუშავება, დანერგვა, განხორცილებაში; პროგრამაში ცვლილების ინიცირებაში; სასწავლო რესურსის განახლებაში; ასევე განმახორციელებლების შერჩევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის კალენდარული გეგმების შედგენასა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის ეტაპზე კონსულტირების გაწევაში, განსაკუთრებით სისტემაში ახლადშემოსული განმახორციელებლებისთვის. გასაუბრებისას პროგრამის ხელმძღვანელმა ყურადღება გაამახვილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

სასწავლო რესურსის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ დაგეგმილია გარკვეული სახელმძღვანელოების დამატება/თარგმნა უცხოელ პარტნიორებთან მოლაპარაკებების გზით.

PDF Eraser Free

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეულ პირს გააჩნია დარგის შესაბამისი კომპეტენცია.

5. დაწესებულება სარგებლობს და შესაბამისად განთავსებული აქვს ვებ გვერდზე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი - OpenBiblio, რომლის საშუალებითაც, ბიბლიოთეკაში გაწევრიანებული პირებს, თავიანთი მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით, შეუძლიათ მოახდინონ სასურველი რესურსის ძიება. დაწესებულების წარმომადგენლისა და ბიბლიოთეკარის განმარტებით, კატალოგში აღრიცხულია საბიბლიოთეკო ფონდში არსებული და პროგრამების მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი. ბიბლიოთეკარის განმარტებით, ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს სასწავლო რესურსის იმ ნაწილის გაციფრულება, რომელიც არსებობს მხოლოდ მატერიალური სახით. ციფრული ასლები ინახება CD დისკებზე ბიბლიოთეკაში, იტვირთება ელექტრონული სახით ელექტრონულ კატალოგში და გატარებულია საბიბლიოთეკო დავთარში (ჟურნალში). პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს მიმდინარე ეტაპზე სასწავლო რესურსები მიეწოდებათ ელექტრონული სახით.

ბიბლიოთეკარმა გასაუბრებისას განმარტა, რომ ასწავლო რესურსის/საკანონმდებლო აქტების დამატება/განახლების შემთხვევებში, მას ინფორმაციას მიეწოდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, ხოლო ბიბლიოთეკარი თავის მხრივ მიმართავს დირექტორს კონკრეტული მოთხოვნით. კოლეჯის დირექტორმა და ბიბლიოთეკარმა დაადასტურეს ვებ გვერდზე განთავსებულ „კატალოგი 2021“-ში მითითებული ინფორმაცია ბიბლიოთეკაში მასალების დასკანერება, ასლების გადაღება და ამობეჭდვის შესაძლებლობის შესახებ.

დისტანციური ჩართვის დროს უზრუნველყოფილი იქნა ბიბლიოთეკის დათვალიერება. გადამოწმების მიზნით, ბიბლიოთეკარმა მოახდინა ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით დასახელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ საფუძველი ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის, მათ შორის ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის შერჩეული სახელმძღვანელოების მოძიება. შედეგად, დადასტურდა სახელმძღვანელოების არსებობა როგორც კატალოგში, ასევე მატერიალური/ელექტრონული სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა და სასწავლო პროცესში გამოყენების შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

6. დაწესებულების მიერ შემუშავებული „სასწავლო პროცესის მართვის წესის“ 24- მუხლის „სასწავლო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები“ შესახებ 1-ლი მუხლი განმარტავს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია დაწესებულების მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სახის სერვისი“, სადაც ჩამოთვლილია აკადემიაში ჩარიცხული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები, მათ შორის „ბ) ხმის აღწარმოების ელექტრონული პროგრამის გამოყენება (სმენადაქვეითებული პირებისათვის) და გ) საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა“, რაც დეტალურად არის განმარტებული მომდევნო პუნქტებში და გულისხმობს: საქართველოს უსინათლოთა კავშირის მხარდაჭერით ხმის აღწარმოების ელექტრონული პროგრამის გამოყენებას უსინათლო პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისათვის; საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის დამზადებას, ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული რეგულაცია გადამუშავებულია შემხვედრი საჭიროებების გათვალისწინებით. ასევე, გასაუბრებისას ხაზი გაესვა დაწესებულების მჭიდრო თანამშრომლობას მის ერთ-ერთ დამფუძნებელთან „საქართველოს უსინათლოთა კავშირთან“. გასაუბრებისას გაირკვა, რომ დაწესებულებას აქვს მხედველობის დარღვევის მქონე სტუდენტის სწავლების გამოცდილება.

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება სსსმ პირებისთვის სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნველყოფის მზაობა და მათი საჭიროებების/მოთხოვნილებების შესაბამისად ადაპტირების შესაძლებლობა.

7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ განხორციელების მდგრადობა, პროგრამის ბიუჯეტით დადგენილი რენტაბელობის ზღვრის - 17 გათვალისწინებით. წარმოდგენილ ბიუჯეტში ძირითადი საოპერაციო ხარჯების გარდა გათვალისწინებულია „სასწავლო ვიზიტის/პრაქტიკის ორგანიზების“ და „სხვადასხვა სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის ღონისძიებების“ რესურსი, რაც ასევე იკვეთება დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულ როგორც „2020-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის“ და „2020-2021 სამოქმედო გეგმის“ ამოცანებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი;
2. მატერიალური რესურსის შესყიდვის აქტები;
3. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (ამონარიდი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესიდან);
4. პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
5. განმახორციელებლებისა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
6. ვებგვერდი - www. sba.edu.ge;
7. ამონარიდი სასწავლო პროცესის მართვის წესიდან: მუხლი 24;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

8. პროგრამის ბიუჯეტი;
9. [illegible]
10. ფოტომასალა;
11. დისტანციურ რეჟიმში განხორციელებული ვიზუალური დათვალიერება.

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოებების გასაუბრების განრიგი.

11.03.21
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: